

სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევების მართვის ინსტრუქცია

1. სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადა შემთხვევაზე გადის:

ა) თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა 38,8° ან მეტი და რომელიმე, ჩამოთვლილ ჩივილთაგან ერთ-ერთი:

- ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა.

და ამასთან, პაციენტი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილი რისკის ჯგუფიდან რომელიმეს:

- 65 წელი და მეტი;
- ორსული;
- მშობიარობის შემდგომი პერიოდი 2 კვირა;
- თანმხლები ქრონიკული მდგომარეობები: ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, გულის კორონარული დაავადება, გულის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, ბრონქული ასთმა, იმუნოსუპრესიული მდგომარეობები (ქიმიოთერაპიაზე მყოფი ან 30 დღის უკან დასრულებული ქიმიოთერაპიის კურსი, აივ-ინფიცირებული), დიალიზზე მყოფი პირი.

ბ) თუ ტემპერატურასთან (არ აქვს მნიშვნელობა ტემპერატურის ოდენობას) ერთად გამოხატულია ქვემოთ ჩამოთვლილი გართულებებიდან ერთ-ერთი:

- მრავალჯერადი ღებინება (ორი და მეტი);
- დაბინდული ცნობიერება (მივარდნილია);
- ქოშინი მოსვენებულ მდგომარეობაში (ფიზიკური აქტივობის გარეშე);
- კრუნჩხვა.

გ) თუ გამოძახება ხდება ქუჩაში/დაწესებულებაში;

დ) თუ პაციენტი არის უცხოენოვანი;

ე) თუ პაციენტი არის 5 წლის ან ნაკლები ასაკის მქონე პირი.

2. შემთხვევა/გამოძახება გადაეცემა ოჯახის ექიმს:

ა) თუ პაციენტს აღენიშნება ტემპერატურა 38,8-ზე ნაკლები და რომელიმე, ჩამოთვლილ ჩივილთაგან ერთ-ერთი: ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა - მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილი რისკის ჯგუფიდან რომელიმეს:

- 65 წელი და მეტი;
- ორსული;
- მშობიარობის შემდგომი პერიოდი 2 კვირა;
- თანმხლები ქრონიკული მდგომარეობები: ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი, გულის კორონარული დაავადება, გულის უკმარისობა, ფილტვის ქრონიკული

ობსტრუქციული დაავადება, ბრონქული ასთმა, იმუნოსუპრესიული მდგომარეობები (ქიმიოთერაპიაზე მყოფი ან 30 დღის უკან დასრულებული ქიმიოთერაპიის კურსი, აივ-ინფიცირებული), დიალიზზე მყოფი პირი.

**ბ) თუ პაციენტს:**

- აღენიშნება ტემპერატურა (არ აქვს მნიშვნელობა ტემპერატურის ოდენობას) და აქვს ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა;

ან

- აქვს ხველა, ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გამონადენი ცხვირიდან/ცხვირის გაჭედულობა, კუნთების, სახსრების ტკივილი და დიარეა;

ან

- აღენიშნება მხოლოდ ტემპერატურა (არ აქვს მნიშვნელობა ტემპერატურის ოდენობას), არა აქვს გულმკერდის არეში ტკივილი, მუცლის ტკივილი, ჭვალი და ა.შ.

**ამასთან, პაციენტი არ მიეკუთვნება რისკის ჯგუფს და არ აღენიშნება ქვემოთ ჩამოთვლილი გართულებებიდან რომელიმე:**

- მრავალჯერადი ღებინება (ორი და მეტი);
- დაბინდული ცნობიერება (მივარდნილია);
- ქოშინი მოსვენებულ მდგომარეობაში (ფიზიკური აქტივობის გარეშე);
- კრუნჩხვა.

**გ) როდესაც მოქალაქე ითხოვს მხოლოდ ოჯახის ექიმის კონსულტაციას, აღენიშნება მხოლოდ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები. ოჯახის ექიმთან არ ხდება შემთხვევის გადამისამართება, თუ მოქალაქეს აღენიშნება გულთან დაკავშირებული პრობლემები, მუცლის ტკივილი, ჭვალი და ა.შ.**